

შპს „ჯეო მარკი“

ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2021 წელი

შპს „ჯეო მარკი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგები	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	5

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
შენიშვნა 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი	6
შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
შენიშვნა 4. ხარჯები და სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11
შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი.....	11
შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები	12
შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები	12
შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები	13
შენიშვნა 9. საბანკო სესხები	13
შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	13
შენიშვნა 11. საკუთარი კაპიტალი	13
შენიშვნა 12. დაკავშირებული მხარეები.....	14
შენიშვნა 13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
შენიშვნა 14. ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია.....	14

შპს „ჯეო მარკი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	8	45,522	90,756	129,157
სავაჭრო მოთხოვნები		855,428	692,246	647,294
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული სახსრები			130,101	
მარაგები		342,264	211,201	158,840
- მზა პროდუქცია				
- სხვა		3,127	4,550	17,007
სხვა მოკლევადიანი აქტივები		1,246,341	1,128,854	952,298
სულ მოკლევადიანი აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები				
თვითღირებულების მოდელით				
გადაფასების მოდელით				
გუდვილი	7	3,232	3,156	3,380
სხვა არამატერიალური აქტივი	6	582,435	104,303	76,327
ძირითადი საშუალებები				
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		181,713	181,713	181,713
სხვა გრძელვადიანი აქტივები		2,013,721	1,418,026	1,213,718
სულ აქტივები				
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	10	236,968	208,728	172,147
სავაჭრო ვალდებულებები				
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	10	37,278	90,402	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10			51,261
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებული შემოსავალი	9	66,000		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	10	18,445	7,108	14,634
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		358,691	306,238	238,042
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	9	400,769	218,471	151,563
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები		759,460	524,709	389,605
სულ ვალდებულებები				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალი“)	11	200	200	200
საემისიო შემოსავალი	11	1,254,061	893,117	823,913
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი				
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		1,254,261	893,317	824,113
საკუთარი კაპიტალი		2,013,721	1,418,026	1,213,718
სულ კაპიტალი და ვალდებულებები				

ხელმძღვანელობის მხრიდან:

მ. ჯგერგელი

მალხაზ კვარაცხელია
შპს „ჯეო მარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

„...არსებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.“

შპს „ჯეო მარკი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

საქმიანობის შედეგები

	2021 წ.	2020 წ.
ნეტო ამონაგები	3,821,311	3,279,369
საქონლის გაყიდვიდან	3,821,311	3,279,369
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,372,991)	(2,161,289)
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	1,448,320	1,118,080
საერთო მოგება		
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(553,519)	(426,775)
ცვეთა და ამორტიზაცია	(25,033)	(16,376)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	(23,677)	(10,071)
იჯარის ხარჯი	(20,317)	(12,074)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(590,571)	(429,361)
სულ საოპერაციო ხარჯები	(შენიშვნა 4) (1,213,117))	(894,657)
საოპერაციო მოგება	235,203	223,423
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(შენიშვნა 5) 82,982	(15,547)
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(შენიშვნა 4) 51,242	(1,438)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	369,427	206,438
მოგების გადასახადი	(6,378)	(29,234)
მოგება/(ზარალი)	363,049	177,204
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერზი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	363,049	177,204
ვაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	893,317	824,113
ახალი აქტივების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(2,105)	(108,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		

ხელმძღვანელობის მხრიდან:

მ. ვამიკაძე

მალხაზ კვარაცხელია

შპს „ჯეო მარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

თანაართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯეო მარკი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,254,261	893,317
---------------------------------------	-----------	---------

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2021 წ.	2020 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	211,814	38,927
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(503,241)	(44,128)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	246,193	(33,200)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(45,234)	(38,401)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	90,756	129,157
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	45,522	90,756

ხელმძღვანელობის მხრიდან:

მ. ყვამიტელი

მალხაზ კვარაცხელია

შპს „ჯეო მარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეო მარკი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია 2008 წლის 30 იანვარს და მდებარეობს საქართველოში, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. კვ. 7 კორპ. 8 ბ.47

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ორცხოვნილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება.

შპს „ჯეო მარკი“ ფლობს 100%-იან წილს შპს „ლიბოში“.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეებს შორის გადანაწილებული წილები:

მალხაზ კვარაცხელია	(01008013382)	67%
ნინა გაბუნია	(01008035179)	11%
თინათინ გაბუნია	(01008051017)	11%
ნიკოლოზ გაბუნია	(01008051211)	11%
სულ		100 %

შენიშვნა 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე


წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ხელმძღვანელობის მხრიდან:



მალხაზ კვარაცხელია

შპს „ჯეომარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას და მენეჯმენტის მხრიდან განსჯას კომპანიის საღირცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები აგრეთვე საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს.

წარსადგენი და სამუშაო ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანიაამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით. კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

ხელმძღვანელობის მხრიდან:



მალხაზ კვარაცხელია
შპს „ჯეო მარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

მარაგების თვითღირებულება - შეძენასთან დაკავშირებული დანახარჯები, აგრეთვე ის დანახარჯები, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანო კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და უშუალოდ მარაგების შეძენასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- | | |
|--|----------|
| • მანქანა-დანადგარები | 5-7 წელი |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5-7 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5-7 წელი |
| • კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა | 5-7 წელი |

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა). არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაა 5 წელი.

ხელმძღვანელობის მხრიდან:



მაღალხაზ კვარაცხელია

შპს „ჯეო მარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა (კომპენსირება), აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხვის აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

ხელმძღვანელობის მხრიდან:



მალხაზ კვარაცხელია

შპს „ჯეო მარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

საბანკო სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

გადასახადები

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო და საკრედიტო ორგანიზაციები, და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან (ე.წ. „ესტონური“, მოდელი). ახალი მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკურისარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

ხელმძღვანელობის მხრიდან:



მალხაზ კვარაცხელია

შპს „ჯეო მარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

შპს „ჯეო მარკი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 4. ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხარჯები მოიცავს:

	31.12.2021	31.12.2020
სხვა საწარმოო ხარჯები	680	680
რეკლამის ხარჯები	393,405	294,200
შრომის ანაზღაურება	553,519	426,775
ცვეთა და ამორტიზაცია	25,033	16,376
საპროცენტო ხარჯი	23,677	10,071
საიჯარო ქირა	20,317	12,074
საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯები	1,212	3,321
კომუნიკაციის ხარჯები	4,759	4,777
საწვავის ხარჯები	69,108	51,457
საკონსულტაციო და აუდიტის მომსახურება	3,750	2,500
დაზღვევის ხარჯები	5,809	518
საგადასახადო ხარჯები	3,243	1,160
ბანკის მომსახურება	5,403	20,549
საღაროს აპარატის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	809	1,165
მომსახურების ხარჯი	136	-
რემონტის ხარჯები	6,251	6,045
ავტომანქანების ხარჯი	22,872	25,299
მანქანა-დანადგარების ხარჯი	6,881	3,989
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,161	-
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	65,092	13,701
სულ	(1,213,117)	(894,657)

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2021	31.12.2020
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	64,762	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(13,520)	(1,438)
სულ	51,242	(1,438)

შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი

	31.12.2021	31.12.2020
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	88,163	22,946
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(5,181)	(38,493)
სულ	82,982	(15,547)

ხელმძღვანელობის მხრიდან:

მ. ყვამუტელი

მალხაზ კვარაცხელია

შპს „ჯეო მარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯეო მარკი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2020	38,874	1,296	1,018	35,139	76,327
შემოსვლა	7,008	-	3,600	32,920	43,528
პერიოდის ცვეთა	(8,755)	(86)	(362)	(6,349)	(15,552)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	37,127	1,210	4,256	61,710	104,303
შემოსვლა	481,640	3,464	-	17,137	502,241
პერიოდის ცვეთა	(9,208)	(765)	(709)	(13,427)	(24,109)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	509,559	3,909	3,547	65,420	582,435

კომპანია ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯის გაანგარიშებას ახორციელებს წრფივი მეთოდის გამოყენებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა.

შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები

წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2020	3,380
შემოსვლა	600
პერიოდის ცვეთა	(824)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	3,156
შემოსვლა	1000
პერიოდის ცვეთა	(924)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	3,232

ხელმძღვანელობის მხრიდან:

მალხაზ კვარაცხელია

შპს „ჯეო მარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯეო მარკი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	13,463	69,014
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	13,762	21,340
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	18,297	402
სულ	45,522	90,756

შენიშვნა 9. საბანკო სესხები

კომპანიის მიერ სს „საქართველოს ბანკისაგან“ 2015 წლის 27 აგვისტოს (აშშ დოლარში) და 2021 წლის 07 აპრილს (ევროში) აღებული იქნა ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხები. საპროცენტო განაკვეთებია წლიური: 7,5% (აშშ დოლარი) და 5,7% (ევრო). სესხების დაფარვის თარიღებია: 2021 წლის 01 სექტემბერი და 2027 წლის 22 დეკემბერი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკის“ სესხების მონაცემები:

	31.12.2021	31.12.2020
გადახდილი ძირითადი თანხა	84,817	103,068

ბანკის საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმავე პერიოდის ფინანსურ ხარჯად საბაზრო განაკვეთის გამოყენებით.

შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	236,968	208,728
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	37,278	90,402
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
მოკლევადიანი სესხები	66,000	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18,445	7,108
სულ	358,691	306,238

შენიშვნა 11. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 200 ლარს. (2020 წლის 31 დეკემბერი - 200 ლარი).

ხელმძღვანელობის მხრიდან:

მალხაზ კვარაცხელია

შპს „ჯეო მარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

შპს „ჯეო მარკი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 01.01.2020	200	823,913	-	824,113
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	177,204	-	177,204
გადახდილი დივიდენდი	-	(108,000)	-	(108,000)
ნაშთი 31.12.2020	200	893,117	-	893,317
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	363,049	-	363,049
გადახდილი დივიდენდი	-	(2,105)	-	(2,105)
ნაშთი 31.12.2021	200	1,254,061	-	1,254,261

შენიშვნა 12. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს მალხაზ კვარაცხელია. იგი ფლობს შპს „ჯეო მარკის“ 67%-იან წილს.

ტრანზაქციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთან:

	31.12.2021	31.12.2020
ანაზღაურების თანხა	58,000	21,960

შენიშვნა 13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურმდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

შენიშვნა 14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

მ. კვარაცხელია

მალხაზ კვარაცხელია

შპს „ჯეო მარკის“ დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.